შრომის სამართლის ბიულეტენი

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

დაგვისვით შეკითხვები
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com

შრომის სამართალი

დეკემბერი, 2024

ასოციაცია „ევროპის დროით“ ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით გთავაზობთ ყოველთვიურ შრომის ბიულეტენს

ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

შრომის პოლიტიკის 10 წელი და ევროპული ინტეგრაცია საქართველოში

2014 წელს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით, საქართველომ იკისრა ვალდებულებები შრომის სფეროში განეხორციელებინა ევროკავშირის სამართალსა და სტანდარტებთან დაახლოება. საქართველოს შრომის კოდექსმა განიცადა მნიშვნელოვანი რევიზია, მიღებულ იქნა ახალი კანონები და კანონქვემდებარე აქტები. რეფორმებისა და ცვლილებების ფონზე, დაგროვდა ბევრი შეკითხვა - ახალი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე. ამ მიზნით **ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით, ასოციაციის "ევროპის დროით" მიერ, სამი წლის მანძილზე, ხორციელდებოდა პროექტი "შრომის სამართლის ყოველთვიური ბიულეტენი".** შრომის ბიულეტენი პასუხობდა ყველაზე აქტუალურ და პრაქტიკულ შეკითხვებს შრომის პოლიტიკის სფეროში. შეკითხვებს სვამდნენ დამსაქმებლები, დასაქმებულები, პროფესორები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები, პოლიტიკოსები, HR სპეციალისტები, იურისტები. 3 წლის განმვლობაში დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა აისახა **წიგნში "შრომის სამართლის პრაქტიკაში გამოყენების სტანდარტი".** აქ არის ა) პასუხები შეკითხვებზე, ბ) სასამართლო პრაქტიკა, გ) შრომის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალი და დ) ავტორთა სხვა ნამუშევრები

ევროკავშირის შრომის სამართალთან დაახლოების სფეროში. **წიგნის ატორები არიან პროფესორი ეკატერინე ქარდავა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ეკა გასიტაშვილი.**
იხ. წიგნი:
https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2024/Book_Labour_online_version_final_2024.pdf

ასოცირების შეთანხმების დადებიდან გავიდა 10 წელი. **ამ წლების განმავლობაში ევროკომისია აქვეყნებდა საქართველოს მხრიდან ასოცირების შეთანხმების შესრულების ყოველწლიურ ანგარიშებს, სადაც ასახავდა მიღწეულ ამოცანებს და სამომავლო რეკომენდაციებს.** პროგრესის შეფასების ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენდა შრომისა და დასაქმების პოლიტიკა. **ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით ასოციაციის "ევროპის დროით" თავმჯდომარის ეკატერინე ქარდავას მიერ მომზადდა ბროშურა,** სადაც ასახულია 10 წლის მანძილზე საქართველოს შრომის პოლიტიკის განვითარების დინამიკა. მკითხველს შეუძლია გაეცნოს, როგორ აფასებდა ევროკომისია საქართველოში მიმდინარე საკანონმდებლო, საიმპლემენტაციო და ინსტიტუციურ რეფორმებს შრომის სფეროში.
იხ.ბროშურა:
https://southcaucasus.fes.de/fileadmin/Publications/2024/10_Years_of_Labour_Policy_ENG_final.pdf

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com
eka_kardava@yahoo.com